

ზოგადი ელექტრონიკა.
I სემესტრი. 2019-2020 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

რას ეწოდება გამდიდრების რეჟიმში მომუშავე იზოლირებულჩამკეტის ველით მართვადი ტრანზისტორის ზღურბლური ძაბვა:

Select one:

- a. ძაბვას ჩამკეტსა და სათავეს შორის, რომლის დროსაც ჩასადენის დენი გაუტოლდება მისი ნომინალური მნიშვნელობის 10%-ს
- b. ძაბვას ჩამკეტსა და სათავეს შორის, რომლის დროსაც ჩასადენის დენი გაუტოლდება მისი ნომინალურ მნიშვნელობის 90%-ს
- c. ძაბვას ჩამკეტსა და სათავეს შორის, რომლის დროსაც ჩადასენის დენი გაუტოლდება ნომინალურ მნიშვნელობას
- d. ძაბვას ჩამკეტსა და სათავეს შორის, რომლის დროსაც გაჩნდება დენგამტარი არხი.

Question 2

როდის იმუშავებს ტრანზისტორული მამლიერებელი კასკადი გამლიერების A რეჟიმში (A კლასი) :

Select one:

- a. თუ სიმშვიდის რეჟიმის შესაბამისი მუშა წერტილი მდებარეობს აბსცისათა ღერძზე და ემთხვევა შესავალი მახასიათებლის საწყის წერტილს;
- b. ტრანზისტორში დენი გადის შესავალი ცვლადი სიგნალის ნახევარპერიოდზე ნაკლები დროის მანძილზე;
- c. თუ სიმშვიდის დენის შესაბამისი მუშა წერტილი მდებარეობს შესავალი მახასიათებლის შუაში და გასამლიერებელი სიგნალის ამპლიტუდის ფარგლებში ცვლილების დროს მუშა წერტილი რჩება შესავალი მახასიათებლის წრფივ უბანში.

Question 3

მაინვერსირებელი შესასვლელიანი ოპერაციული მამლიერებლის ამპლიტუდური მახასიათებელი განთავსდება:

Select one:

- a. კოორდინატთა სისტემის პირველ და მესამე მეოთხედში;
- b. კოორდინატთა სისტემის პირველ და მეოთხე მეოთხედში;
- c. კოორდინატთა სისტემის პირველ და მეორე მეოთხედში;
- d. კოორდინატთა სისტემის მეორე და მეოთხე მეოთხედში;

Question 4

ავტოგენერატორში ფაზური ბალანსის პირობების შესრულებისთვის საჭიროა:


Select one:

- a. მამლიერებელი კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრისა და უკუკავშირის კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრის კუთხეების ჯამი იყოს $\pi/2$ -ის ტოლი;

- b. მამლიერებელი კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრისა და უკუკავშირის კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრის კუთხეების ჯამი იყოს π -ის ტოლი.
- c. მამლიერებელი კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრისა და უკუკავშირის კვანძის შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის ფაზური ძვრის კუთხეების ჯამი იყოს 2π -ის ტოლი;

Question 5

წარმოდგენილი დროითი დიაგრამა ასახავს:



Select one:

- a. ორშესასვლელიან „ან - არა“ ლოგიკურ ელემენტში მიმდინარე ელექტრულ პროცესებს;
- b. ორშესასვლელიან „და“ ლოგიკურ ელემენტში მიმდინარე ელექტრულ პროცესებს.
- c. ორშესასვლელიან „და - არა“ ლოგიკურ ელემენტში მიმდინარე პროცესებს;
- d. ორშესასვლელიანი „ან“ ლოგიკურ ელემენტში მიმდინარე ელექტრულ პროცესებს;